

4. ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მარნეულის  
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.


საწარმო გამიზნულია ორგანული ნარჩენების გადასამუშავებლად და სასუქის-კომპოსტის-საწარმოებლად, თანამედროვე ეფორპული ტექნოლოგიური ხაზის გამოყენებით. პროექტი დამუშავდა გერმანელ სპეციალისტებთან ერთად. საწარმოს კომპლექსი განთავსებულია 2 ჰა ტერიტორიაზე და შედგება სხვადასხვა შენობა-ნაგებობებისგან. კერძოდ:


- ძირითადი საწარმო ფარდული, დაგეგმარებულია ლითონის მზიდი კარკასით და ტენტის სახურავით;
- მზა პროდუქციის ღია საწყობები;
- წყლის სამარაგო აუზი;
- ადმინისტრაციულ-საყოპაცხოვრებო შენობა;
- შემოღობვა;
- სატრანსფორმატორო ქვესადგური და საგენერატორების მეურნეობა;
- სასმელი წყლის ჭაბურღილი.

დამკვეთი: მარნეულის მუნიციპალიტეტი.


დღევანდელი მდგომარეობა: პროექტის დამუშავება დასრულდა 2011წ. ივნისში.

ობიექტის მშენებლობა დასრულების სტადიშია














## 5. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახურული მოსაცდელის ტიპიური პროექტი

მოსაცდელის ტიპიური პროექტი დამუშავებულია ქ. მარნეულისათვის. მასში განთავსებულია საკუთრივ მოსაცდელი და მცირე ზომის საფაჭრო ჯიხური. აქეა განთავსებული აგრეთვე სწრაფი გადახდის ტერმინალიც. ჯიხურის და მოსაცდელის კარგასი ფოლადისაა. ჯიხურის შემოზღუდვა ხორციელდება ალუმინის ვიტრაჟებით. მოსაცდელის სახურავი გამჭირვალეა და სრულდება პოლიკარბონატის ფილებით. მოსაცდელში დაგეგმილია პლასტმასის სკამების განთავსება.

დამკვეთი: მარნეულის მუნიციპალიტეტი

დღევანდელი მდგომარეობა: პროექტირება დასრულდა 2011წ. ივლისში  
მიმდინარეობს სამშენებლო ორგანიზაციის შერჩევა





6. საავტომობილო გზების, ხიდების და მათი მიმდებარე ტერიტორიის  
იერსახის შეცვლა ქ. მარნეულში

პროექტი ითვალისწინებს ხიდის და საავტომობილო გზების გასწვრივ  
არსებული შემოღობვის იერსახის შეცვლას და ასევე დეკორატიული  
მანიშნებლების მოწყობას ავტომაგისტრალზე.

მანიშნებლები დაგეგმარებულია ორგანული მინისა და კომპოზიტური  
პანელების შემოსვით. მათში გათვალისწინებულია ილუმინაციის მოწყობა.

ხიდებისა და ღობეების მოპირკეთება გადაწყდა ბუნებრივი ფლეთილი ქვით.  
მათზე დაგეგმარდა ასევე განათების მოწყობა.

დამკვეთი: – მარნეულის მუნიციპალიტეტი

დღევანდელი მდგომარეობა: – პროექტირება დასრულდა 2010წ. მარტში  
სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია,

ობიექტები ფუნქციონირებს

აკლიმატიზირებული ფისკი


846



ნაირ მოსახლეობის პაროდია

30 ათასი აკლიმატიზირებული

მავრ აკლიმატიზირებული



263

